განკარგულება:**გ-49. 49250316**
თარიღი:**31/01/2025**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4825029206; 29/01/2025) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი" საშტატო ნუსხა

#	თანამდებობის დასახელება	2025 წელი	
		საშტატო ერთეული	სახელფასო განაკვეთი ახალი
	სულ	**11**	
1	მმართველი	1,0	2700
2	მმართველის მოადგილე	1,0	1500
3	საფინანსო-ეკონომიკური და შესყიდვების მართვის კოორდინატორი	1,0	1555
4	საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი	1,0	1093
5	მზარეული	1,0	1005
6	მზარეულის თანაშემწე	1,0	884
7	სანიტარული ნორმების დაცვის კოორდინატორი	1,0	884
8	დამლაგებელი	1,0	884
9	შინმოვლის პროგრამის მენეჯერი	1,0	1335
10	შინმოვლის პროგრამის კოორდინატორი	1,0	928
11	მძღოლი	1,0	1125